საქართველო

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2018 წ. - 31.12.2018 წ.)

ხულო

2019 წელი

აუდიტის ობიექტი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერია

აუდიტის ობიექტის მისამართი - დ.ხულო, ტბელ აბუსერიძის №1

თემა - შესაბამისობის აუდიტი

შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის, 2018 წლის 31 დეკემბრის № 964 ბრძანებით დამტკიცებული ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა.

აუდიტის ჯგუფი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი ზვიად თავართქილაძე, სამსახურის უფროსი სპეციალისტი რამაზ აბულაძე

აუდიტის ვადა - 01.07.2018 წელი – 31.07.2018 წელი

აუდიტის პერიოდი - 01.01.2018 წელი – 31.12.2018 წელი

ჩვენ ჩავატარეთ ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე განვლილ პერიოდს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე " საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების "ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის "ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ უზუსტობებს.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მდგომარეობას 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის მიმოხილვა:

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა და კანონიერება

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2018 წლის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა **9 579 150.00** ლარით, ხოლო დაზუსტებული **11 690 470.00** ლარით. ამავე პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა **11 260 336.00** ლარი. ბიუჯეტის შესრულების პროცენტული მაჩვენებელი **99,32** %-ია.

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საწყისი ბიუჯეტი დამტკიცდა 2017 წლის 28 დეკემბრის №41 დადგენილებით 9 579 150 .00 ლარზე. ბიუჯეტმა 2018 წლის განმავლობაში ცვლილება განიცადა 5-ჯერ:

1. ბიუჯეტში პირველი ცვლილება შევიდა 2018 წლის 18 იანვარს (დადგენილება №46) , არსებულ ბიუჯეტს დაემატა 298 069.00 ლარი და გახდა 9 877 219.00 ლარი.
2. ბიუჯეტში მეორე ცვლილება შევიდა 2018 წლის 22 ივნისს (დადგენილება №74). არსებულ ბიუჯეტს დაემატა 800 000.00 ლარი და გახდა 10 677 219.00 ლარი.
3. ბიუჯეტში მესამე ცვლილება შევიდა 2018 წლის 26 ივლისს (დადგენილება №83), ბიუჯეტი გაიზარდა 465 900.00 ლარით და გახდა 11 143 119.00ლარი.
4. ბიუჯეტში მეოთხე ცვლილება შევიდა 2018 წლის 27 აგვისტოს, (დადგენილება №86), ბიუჯეტი გაიზარდა 0.00 ლარით და გახდა 11 143 119.00 ლარი.
5. ბიუჯეტში მეხუთე ცვლილება შევიდა 2018 წლის 6 დეკემბერი (დადგენილება №91), ბიუჯეტი გაიზარდა 193 666.00 ლარით და გახდა 11 336 785.00 ლარი.

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის (გარდა ა(ა)იპ-ებისა) 2018 წლის ხარჯების მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

2018 წლის მთლიანი ხარჯების დამტკიცებული გეგმა შეადგენს 7 969 772 ლარს დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენს 8 323 457 ლარს. საკასო ხარჯმა შეადგინა 7 901 347 ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 5 276 230 ლარი. სხვაობა დაზუსტებულ ხარჯსა და საკასო ხარჯს შორის შეადგენს 422 110.00 ლარს (შესრულება - 94.93%).

- 2018 წლის შრომის ანაზღაურება გეგმით გათვალისწინებული იყო 1 614 057 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 1 600 361.00 ლარი, ხოლო სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის არის - 13 696 ლარი (შესრულება - 99.20%).
- საქონელი და მომსახურება მუხლით დაგეგმილი იყო 1 156 948 ლარი. საკასო ხარჯმა შეადგინა 1 160 435 ლარი, დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენს 1 164 373 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 1 175 987 ლარი. სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის შეადგენს 3938 ლარს (შესრულება - 98,66%).

- სუბსიდიები, სუბვენციები და სხვა მიმდინარე ტრანსფერების მუხლით გათვალისწინებული იყო 3000.00 ლარის ასიგნება, საკასო და ფაქტობრივი ხარჯვა შეადგენს 3000.00 ლარს. აღნიშნულ მუხლში შესრულება 100%-ია.
- სოციალური უზრუნველყოფის მუხლი დამტკიცებულიგეგმა შეადგენდა 534 108 ლარს, ხოლო დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 613 384 ლარი. საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 610 221 ლარი. სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის შეადგენს 3163 ლარს (შესრულება - 99.5 %)
- სხვა ხარჯების მუხლში დგეგმილი იყო 446 704ლარი, დაზუსტებული გეგმით 722 507 საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 721 156 ლარი. სხვაობა საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის შეადგენს 4351 ლარს (შესრულება - 99,4 %)

საშტატო სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის აუდიტი:

2018 წელს შტათით მომუშავეთა რიცხოვნება იყო 133, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა 19.

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის შრომის ფაქტობრივმა და საკასო ანაზღაურებამ შეადგინა 1 600 360,81 ლარი აქედან : თანამდებობრივი სარგო 1 531 625 ლარი, დანამატი 10 680ლარი, ჯილდო 58 065 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვები

2018 წელს განხორციელებული შესყიდვების შედაგად სულ გაფორმებულია 197 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს **4707062.66** ლარს, აქედან ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 113 ხელშეკრულება, ხოლო გამარტივებული შესყიდვით 84 ხელშეკრულება.

პირველადი დოკუმენტაციის წარმოება.

1. 2017 წლის 21 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N 278. ხელშეკრულების საგანი ,, საამშენებლო სანებართვო ფორმების შესყიდვა თანხით 270 ლარი ი. მ. ასმათ აბულაძე. მიღება ჩაბარების აქტი N 1 25.12. 2017 წელი 270 ლარი. ჩაიბარა ალბერტ ბოლქვაძემ. ვალდებულების დოკუმენტი N 2021 29.12. 2017 წელი 270 ლარი. განმეორებითი ვალდებულების დოკუმენტი N 123 02.02.2018 წელი 270 ლარი. საგადასახადო მოთხოვნა N 00551 02.02.2018 წელი 270 ლარი. ხელშეკრულების თანახმად ანგარიშსწორების ვადაა გაწეული მომსახურებიდან 10 დღე. აღნიშნული თანხის გადახდა მოხდა ერთ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით.

რეკომენდაცია:

მერიის სამსახურებმა, რომლებსაც ევალებათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებაზე ანგარიშსწორების განხორციელება, დროულად მოახდინონ საჭირო დომკუმენტაციის მომზადება და შესაბამისად მოწოდებულ პროდუქტზე ანგარიშსწორება.

მუნიციპალური პროგრამის ანალიზი,
მერიის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები

2. 2018 წლის 14 მარტის N 44 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული შპს ,,ორი გიო"- სთან დირექტორი ჯემალ ირემაძე. ხელშეკრულების საგანი - ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მომსახურების შესყიდვა, თანხით 69999,80 ლარი. შპს ,, ორი გიო" -ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს ერთვის სალარო აპარატის ქვითრები თითოეული ფერმერის მიხედვით. სალარო აპარატის ქვითრებს თან უნდა ახლდეს ზედნადები გაწეული მომსახურების შესახებ.

ასევე უნდა აღინიშნოს რომ პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ხულოს მუნიციპალიტეტის ფერმერების და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც პროდუქტების წარმოების ხელშეწყობას, აღნიშნული პროგრამით სარგებლოს მუნუციპალიტეტის მხოლოდ ნაწილი და მას ვერ სარგებლობს ხიხაძირის, ფუშრუკაულის, დეკანაშვილების, სხალთის, ვაშლოვანის თემები, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის სააგენტოს სამმართველოს ხულოს განყოფილების მიერ მოწოდებული ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული მსხვილფეხა პირუტყვის სავალდებულო აცრების ინფორმაციის მიხედვით, პროგრამა სადაც არ ხორციელდება შეადგენს პირუტყვის რაოდენობის 43-45%, პროგრამით მეწარმე ახორციელებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილებაში მყოფი პირუტყვის დაკვლას, რომლის ღირებულების 80%-ს იხდის მუნიციპალიტეტის მერია.

მერიის პროგრამები განკუთვნილია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა პირზე და არა რომელიმე ერთ თემზე, რაშიც ყოველწლიურად 70 000 ლარამდე სახელმწიფო ბიუჯეტის თანხა იხარჯება

რეკომენდაცია

ხულოს მუნიციპალიტეტის პროგრამების დამტკიცებისას მოხდეს მისი საჯარო განხილვა, მოსახლეობის გამოკითხვა ყველა თემში, არსებულ საკითხზე ანალიზის გაკეთება და გადაწყვეტილების ობიექტურად მიღება.

ანგარიშსწორების განხორციელების შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან.

3. 2018 წლის 30 იანვრის N 23 ხელშეკრულების თანახმად ი. მ ზაზა თავართქილაძემ უზრუნველყო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მიუსაფარ ბავშვთა პანსიონში საქველმოქმედო ღონისძიების მონაწილეთა ტრანსპორტირება კვებით (სადილი). მიღება-ჩაბარების აქტი N 1 30 იანვარი 2018 წელი. სადაც ნაჩვენებია, ხული-ბათუმი-ნინოწმინდა-წალკა-ხულო .აღნიშნული მარშრუტი ხელშეკრულების ცხრილ-2-ის მიხედვით შეადგენს 1132 კილომეტრს. აქტით ნაჩვენებია 2264 კილომეტრი გაორმაგებულია. რითაც ზაზა თავართქილაძემ მიიღო (1132კმ X 0.85ლ = 962,20ლ) 962.20 ლარით მეტი თანხა. არ აქვს თანდართული სია თუ ვის მოემსახურა. არ აქვს კვებისათვის გაწეული ხარჯის რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი.

ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე მონაწილეთა კვების მომსახურეობის გაწევის შემდგომ მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მენიუს და სალარო აპარატის ქვითრის სახით, რომელიც უნდა იყოს შესაბამისი ფასების ცხრილში მოცემულ ღირებულებებთან, მხოლოდ აღნიშნული

დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარებაც და შესაბამისად ანგარიშსწორება, რაც დარღვეულია. აღნიშნული ფაქტი რისკების მატარებელია და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვაა.

რეკომენდაცია:

მომსახურეობის მიღება-ჩაბარების დროს პასუხისმგებელმა პირებმა გაითვალისწინონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი პირობა და ისე მოახდინონ მომსახურეობის მიღება, საფინანსო სამსახურმა ანგარიშსწორება განახორციელოს მხოლოდ სრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, რაც ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.

სამივლინებო ხარჯების ხარჯვა

4. 2018 წლის 4-9 ივლისს ბერძნული-რომაული ჭიდაობის მთავარი მწვრთნელი მალხაზ სოლომონიძე მივლინებული იყო ხორვატიის ქ. ზაგრებში, სადაც ჩატარდა მსოფლიო პირველობა თავისუფალ და ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობას არ იღებდნენ ჩვენი რაიონის მოჭიდავეები. მივლინების ხარჯი შეადგენს 1819,30 ლარს.

აღნიშნულ მივლინების მოთხოვნის შესახებ რაიმე წერილი ან მომართვა უცხოეთიდან და ჭიდაობის ფედერაციიდან არ არის წარმოდგენილი. მსგავსი ტიპის მივლინების გასაფორმებლად საჭიროა ოფიციალური წერილი მომართვა ჭიდაობის ფედერაციიდან ან რომელიმე უწყებიდან რის საფუძველზეც შესაძლებელია მივლენილი იქნას პირი დანიშნულებისამებრ. თუ მივლინებაში მიწვევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არ არის, აღნიშნული ფაქტი საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვაა.

რეკომენდაცია:

თანამშრომელ მოხელეთა მივლინებაში წასვლის დროს გათვალისწინებული იქნას მაქსიმალურად მივლინების მიზნობრივობა, რაც დასტურდება შესაბამისი მოწვევის დოკუმენტით. დაცული იქნას საქართველოს მთავრობის 2017 წლის N211დადგენილება, მოხელის სამსახურებრივ მივლინებაში გაგზავნის წესის შესახებ.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ანალიზი.

5. 2018 წლის 30 იანვრის N 23 ხელშეკრულების თანახმად ი. მ. ზაზა თავართქილაძემ 4-5 აგვისტოს უზრუნველყო კურორტ ბეშუმში სახალხო ზეიმ ,,შუამთობაზე „ მონაწილე ანსამბლების, გახმოვანების აპარატურის და სხვადასხვა ინვენტარის ტრანსპორტირება . მიღება-ჩაბარების აქტი-48 გაფორმებული 2018 წლის 6 აგვისტოს. აქტში ნაჩვენებია, რომ (ხულო-ბეშუმი-ხულო) მარშრუტზე გაკეთებულია 20 რეისი.

მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით მომსახურეობა გაეწია შუამთობაზე მონაწილე ანსამბლებს, გახმოვავანების აპარატურის და ინვენტარის ტრანსპორტირებას, ხულოს კულტურის ცენტრში მომუშავეებს, რომლებსაც შეეძლოთ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება წარმოადგენენ:

- ადმინისტრაცია 15,

- მოწვეული ცპეციალისტები- 4 (1 ქორეოგრაფი, 3 აკომპანიატორი)
- ბერმუხა -13
- ფოლკლოლური ანსამბლი ხულო - 14
- მუსიკალური ბენდი „გოდერძი“ - 5
- ანსამბლი არგინეთი - 15
- ტექნიკური და სხვა სპეციალისტები -11
- სულ - 77

ინვენტარის გადასატანად საკმარისი იქნებოდა 2 ავტომობილი, 77 კულტურულ ღონისძიებაში მონაწილე პირებისათის 6 ავტომობილი 15 ადგილიანი. ჯამში საკმარისი იქნებოდა 8 მიკრო ავტუბუსით მომსახურეობის გაწევა და არა 20, რაზეც მიიღო 2400 ლარი აღნიშნული ფაქტი საბიუჯოტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვაა.

რეკომენდაცია:

ხელშეკრულების შესრულების მაკონტროლებელმა სამსახურმა (აღნიშნულ შემთხვევაში მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური) მიღება-ჩაბარება განახორციელოს მეწარმის მიერ შესრულებულ თუ მოწოდებულ კონკრეტულ ღონისძიებაზე, მიღება-ჩაბარების აქტში ასევე უნდა ფიქსირდებოდეს ავტომობილის ნომერი, ვის მოემსახურა ორგანიზაციის ან ანსამბლის მითითებით, მარშრუტი და შესრულებული სამუშაოების მიხედვით განხორციელდეს ანგარიშსწორება

6. 2018 წლის 30 იანვარს გაფორმებული N 23 ხელშეკრულების შესაბამისად ი. მ. ზაზა თავართქილაძემ 2018 წლის 12-14 ოქტომბერს უზრუნველყო ქ. ბათუმში სასტუმრო ეიფორიაში აგროსასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების მე-8 საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაზე საციხურის ანსამბლისა და მუზეუმის ექსპონატების ტრანსპორტირება ორჯერადი კვებით . მიღება- ჩაბარების აქტი N 58, 15 ოქტომბერი 2018 წელი. აქტში მოცემულია 16 კაცის ორჯერადი კვება, თითო კაცზე 15 ლარი. ი.მ. ზაზა თავართქილაძესთან გაფორმებული ხელშეკრულების 8.4 მუხლის თანახმად ,,მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად შემსყიდველს წარედგინება ანგარიშსწორებისათვის ყველა დოკუმენტი“ . არ არის სია იმ წევრების ვისაც გაეწია მომსახურება და ორჯერად კვებაზე გაწეული ხარჯის რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე მომწოდებელმა მონაწილეთა კვების გაწევის შემდეგ უნდა წარმოადგინოს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტი, მენიუსა და სალარო აპარატის ქვითრის სახით, რომელიც უნდა იყოს შესაბამისობაში ფასების ცხრილში მოცემულ ღირებულებებთან, რაც არ არის წარმოდგენილი და მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება ისე არის განხორციელებული, რაც რისკების მატარებელია.

რეკომენდაცია:

ხელშეკრულების შესრულების მაკონტროლებელმა სამსახურმა (აღნიშნულ შემთხვევაში მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური) მიღება-ჩაბარება განახორციელეოს ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით.

პირველადი დოკუმენტაციის წარმოების ვადების შესაბამისობა.

7. 2018 წლის 30 იანვრის N 23 ი. მ. ზაზა თავართქილაძე, რომელმაც 2018 წლის აპრილ-მაისში უზრუნველყო საფეხბურთო კლუბ ხიხანის ფეხბურთელების ტრანსპორტირება გასვლით ღონისძიებებში კერძოდ: ჩხოროწყუ, სენაკი, რაჭა და ხელვაჩაურის მიმართულებით . მიღება- ჩაბარების აქტი N 67 12 დეკემბერი 2018 წელი. 1390,60 ლარი. ანგარიშ-ფაქტურა N 67 12 დეკემბერი 2018 წელი 1390,60 ლარი. საგადასახადო მოთხოვნა N 02086 25 დეკემბერი 2018 წელი მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ბადრი მელაძის მოხსენებითი ბარათით N 3092-09 21 დეკემბერი 2018 წელი განმარტებულია, რომ საფეხბურთო კლუბ ხიხანს მარტის თვეში შეექმნა ფინანსური პრობლემები. იგი მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ჩემპიონატში, ფეხბურთში (მეორე ლიგა დასავლეთის ზონა) საბოლოოდ მაისის ბოლოს დაიშალა უსახსრობის გამო და შეწყვიტა მონაწილეობა.

მეწარმემ მომსახურეობა განახორციელა აპრილის და მაისის თვეში, მაშინ რაიმე დოკუმენტაცია არ ყოფილა წარმოდგენილი, ხოლო 5 თვის მერე ხდება გაწეულ მომსახურეობაზე დოკუმენტების წარმოდგენა და ჩარიცხვის განხორციელება, რითაც დარღვეულია დოკუმენტბრუნვის ვადები და ხელშეკრულების პირობები.

რეკომენდაცია:

მეწარმიეს მიერ განხორციელებულ მომსახურეობაზე დოკუმენტაცია დასაფინანსებლად წარმოდგენილი იქნეს ვადებში, რის საფუძველზეც მოხდება ანგარიშსწორება. აღნიშნულზე კონტროლი გააძლიეროს სამსახურმა, რომელიც ხელშეკრულების პირობებითაა განსაზღვრული.

საკუთრების უფლების აღიარების ანალიზი.

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით შექმნილი, ხულოს მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარების კომისია ახორციელებს, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებას და გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას.

განცხადებები ქონების აღიარებაზე შემოდის მერიაში და ასევე წერილები გადმოდის საჯარო რეესტრიდან. ხშირია შემთხვევები მოქალაქეების უკმაყოფილებისა, რომლებიც თვეები ელოდებიან განცხადებაზე რაიმე პასუხის მიღებას, დადებითს თუ უარყოფითს, შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურმა განახორციელა საკითხის მოკვლევა.

აღნიშნული მიმართულებით გამოიკვეთა შემდეგი სახის ხარვეზები:

1. კომისის მიერ არ ხორციელდება შემოსული განცხადებების რეგისტრაცის ჟურნალის წარმოება და არ არის განაცხადებების რეესტრი.
2. შემოსულ განცხადებებზე არ ხდება შუალედური პასუხების მომზადება და შესაბამისად გაგზავნა ადრესატებზე.
3. კომისიის მიერ არ ხორციელდება განცხადებების განხილვის შემდგომ მიღებული გადაწყვეტილების შედეგის გაგზანა, რომელიც უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

4. კომისიის მიერ დროულად არ ხორციელდება ოქმების გაფორმება, სადაც ფიქსირდება მიღებული გადაწყვეტილების შედეგები.

რეკომენდაცია:

კომისიამ თავისი მუშაობა განახორციელოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N 346 დადგენილების, „მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ", გათვალისწინებით.

მატერიალურ ფასეულობათა მიღების, აღრიცხვის, დაცვის და გამოყენების მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის გამგეობის ბალანსზე ირიცხებოდა 23385427 ლარის ძირითადი აქტივები. საანგარიშგებო პერიოდში შესყიდვით მიღებულია 4 273 973,70 ლარის, გრანტებით მიღებულია 75014,18 ლარის, სხვა ეკონომიკური ნაკადები 30743,6 ლარი, იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ გადაცემულია 953 823,52 ლარის ძირითადი საშუალება, წლიური ცვეთა შეადგენს 946 117,74 ლარს. შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამგეობის ბალანსზე არსებული ძირითადი აქტივების ღირებულება შეადგენს 25 864 419 ლარს.

ამავე პერიოდში მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე ირიცხებოდა 963549,57 ლარის მატერიალური მარაგები. შესყიდვით მიღებულია 191618,68 ლარის მატერილაური მარაგებიდა ჩამოწერილია 751 994,18 ლარის. წლის ბოლოს 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე ირიცხება 902 322,97ლარის მატერიალური მარაგები.

გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები 2018 წლის დასაწყისში იყო 97 327,18 ლარის, საანგარიშგებო პერიოდში შესყიდულია 8510,98 ლარისდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამგეობის ბალანსზე ასახულია 106 837,99 ლარის მცირეფასიანი აქტივები.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გამგეობის ბალანსზე ირიცხება 100 949,5 ლარის არაწარმოებლური აქტივები (მიწა).

ინვენტარიზაცია

ხულოს მერიის მიერ არ არის ჩატარებული 2018 წლის ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის N605 ბრძანება, „საბიუჯეტო ორგანიზაციაში ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შსახებ.

რეკომენდაცია

ხულოს მერიამ ინვენტარიზაცია განახორციელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის N605 ბრძანება, „საბიუჯეტო ორგანიზაციაში ქონების, მოთხოვნების და

ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, სრული დაცვით.

შიდა აუდიტის და მონიტორინგის
სამსახურის უფროსი / ზვიად თავართქილაძე/

მთავარი სპეციალისტი / რამაზ აბულაძე /